„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ იწყებს ახალ პროექტს – „საქართველოში საერთაშორისო დახმარების პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის“

თბილისი, 20 იანვარი, 2009 – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ახალი პროექტის – „საქართველოში საერთაშორისო დახმარების პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის“ – განხორციელება დაიწყო. პროექტი ერთწლიანია და აგვისტოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი ასობით მილიონი აშშ დოლარის საერთაშორისო ფინანსური დახმარების განაწილებისა და ხარჯვის პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას ისახავს მიზნად.

ეს პროექტი „საქართველოში გამჭვირვალე უცხოური დახმარების“ კოალიციის საქმიანობის ნაწილია და მას ნაწილობრივ ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ აფინანსებს (57. 964 აშშ დოლარი), ნაწილობრივ კი თავად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციები (34. 300 აშშ დოლარი).

„ორგანიზაციის მიერ ფინანსური დახმარების სფეროში აქამდე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ფინანსთა სამინისტრომ დახმარების განაწილების შესახებ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნა,” – აღნიშნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა თამუნა ქაროსანიძემ – „სამინისტროს გადაწყვეტილება დახმარების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ჩვენი მომდევნო პროექტით ვეცდებით დონორ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს მოვუწოდოთ, რომ სამინისტროს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი მათაც დანერგონ თავიანთ საქმიანობაში და კიდევ უფრო შეუწყონ ხელი დახმარების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას“.

პროექტის მიზანი იქნება:

- დონორების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლება
- უფასო ცხელი ხაზის ამუშავება, რისი მეშვეობითაც დახმარების პოტენციური ბენეფიციარები დარღვევებისა და სხვა პრობლემების შესახებ ინფორმაციას მოგვაწოდებენ
- საქართველოში მოქმედი დონორებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობის შეფასება, გამჭვირვალობის დონის მიხედვით მათი რანგირება და პროგრესის თვალყურისდევნება
- დევნილებისა და ბუფერულ ზონებში მცხოვრები პირებისთვის დახმარების მიწოდების მონიტორინგი
- საერთაშორისო დახმარების მარშრუტების აღრიცხვა და ხელისუფლების მხრიდან ზედამხედველობის მექანიზმების ანალიზი.

„მთავრობამ გადაწყვიტა, მუდმივი საცხოვრებლით დააკმაყოფილოს როგორც ახალი, ასევე ძველი დევნილები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ გადაწყვეტილებას მიესალმება და გამოთქვამს სურვილს,

დევნილებს, მთავრობასა და სხვა ორგანიზაციებს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულებით, ხელი შეუწყოს ამ პროცესის ეფექტიანობას," – თქვა თამუნა ქაროსანიძემ.

ახალი პროექტი დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პოლიტიკის ფორმულირებასა და იმპლემენტაციას შემდეგი სახით დაუჭერს მხარს:

- გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეხედულებებს მიაწოდებს
- ბენეფიციარებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მთავრობის პოლიტიკას გააცნობს
- დევნილთა განსახლების საკითხებთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმას შექმნის
- დევნილთა დასახლებების მონიტორინგის მიზნით განახორციელებს ვიზიტებს სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში

  პროექტის სრული აღწერილობა ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე www.transparency.ge

  დამატებითი კითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ
  ერიკ ბარეტს, პროექტის „საქართველოში საერთაშორისო დახმარების პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის" მენეჯერს
  eric@transparency.ge
  ტელ: (+995 32) 92 14 03

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge